ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №243343

ნომერი: AR161381

თარიღი : 25.06.2012

გაცემის თარიღი : 06.07.2012

გაცნობის თარიღი : 28.09.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი V , კორპუსი 10-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა გაბრიაძე პ/ნ 01006010811
- თბილისი დიღმის მას. V კვ. კორ. 9 ბ. 68

ორგანიზაცია:

- უსაფრთხო სივრცე კოდი: 401953971

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2012 წლის 25 ივნისის #არ161381 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დიღმის მასივი, მეხუთე კვარტალში, კორპუსი #10–ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე გაცემული სამშენებლო დოკუმენტაციის ძალადაკარგულად გამოცხადებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თქბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 30 ნოემბერს ქ. თბილისში, დიდუბე–ჩუღურეთის რაიონში, დიღმის მასივი, მე–5 კვარტალი, კორპუსი #10–ში მიდმებერაედ მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად გაიცა #1144 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღწშნულ საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6), რომლეშიც მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის განთავსებისა და განაშენიენბის ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის მიზნით (კ2=3.0) გამოიცა ქ. თბილისის მერის 2011 წლის 01 ნოემბრის #2518 განკარგულება. ზემოაღნიშნული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებით დამკვეთს დაევალა გარემოსდაცვითი და სანიტარული ნომრბეის დაცვა, მწვანე ნარგავების შენარჩუნების თვალსაზრისით. უფრო მოგვიანებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე, ზემოაღნშნული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პიროებებისა და განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 02 თებერვლის 01/257 ბრძანებით შეთანხმდა მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, რაც შეეხება მშენებლობის ნებართვას, დღეის მდგომარეობით აღნიშნულ ობიექტზე მშენებლობის ნებართვა გაცემული არ არის.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ საპროექტო ობიექტზე, მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება თქვენ როგორც დაინტერესებული მხარე, თქვენი 07.06.2012წ. #AR156901 განცხადების საუძველზე ჩართული იქნებით მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებაში.
ამასთან დამატებით განგიმარტავთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 611 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.
ყოველივე აღნშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა აღნიშნული სამშენებლო დოკუმენტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით. ხოლო, თუ თქვენ თვლით, რომ ზემოთ მითითებული ადმინისტრაციული აქტი უკანონოა და ზღუდავს თქვენს სამართლებრივ ინტერესებს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შეგიძლიათ იგი გაასაჩივროთ ქ. თბილისის მერიაში მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7).

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge